

საქართველო  
გიგანტი



B. TAKOBISHVIL

— ნოემბერი — ნოემბერი —



1911

# ს ა რ ჩ ე ბ ი

I—ნიკოლოზ ზებედესაძე ცხვედაძეს სურათი.	1
II—მე წყარო ვარ...—ლექსი პ. აბაშიშვილების	3
III—ზურაბის თარი, — (დასასრული) დემსა მროველისა	5
IV—ზღვის შვილი, — პ. თამრთშვილისა	12
V—შემოდგომა, — დ. ოურდონებირებისა	25
VI—მოწყალე არწივი, — ლეგნდა, — გადმოგეთქმული თეო განცემაკისა	29
VII—ორი მხატვარი, — შემდეგი: (თარგმანი) დ. ავლიანასა	32
VIII—ნიკოლოზ ცხვედაძე, — ნებროდლოგი ად. შიქაბერიძისა	49
IX—ლევ ტოლსტოის ხსოვნას, — ილია ნაკაშიძისა	56
X—უმავთულო ტელეგრაფი, — (თარგმანი), — დ. ჯანაშვილისა	60



# ნიკოლა ბურგე

ს ი მ ა ფ ვ ი ლ ი ლ ი ლ ი

ზელიზადი მიზგიდა.

6 ი ა მ ა 1911 წ.



ი. თ.

† ნიკოლოზ ზებედეს-ძე ცხვედაძე.

# ს ა რ ჩ ე ბ ი ბ ი

I—ნიკოლოზ ზეგედეს-ძე ცხვედაძეს სურათი.	1
II—მე წყარო ვარ...—ლექსი პ. აბაშიშვილებისა . . . .	3
III—ზურაბის თარი,—(დასასრული) დემსა მრთველისა . . . .	5
IV—ზღვის შვილი,—გ. თამრთშვილისა . . . . .	12
V—შემოდგომა,—დ. თერდოსტიტელისა . . . . .	25
VI—მოწყალე არწივი, — ლეგნძა, — გადმოკეთებული თეო კანდელაკისა . . . . .	29
VII—ორი მხატვარი,—შემდეგი: (თარგმანი) დ. ავალიანისა.	32
VIII—ნიკოლოზ ცხვედაძე,—ნეკროლოგი ალ. შიქაბერიძისა	49
IX—ლევ ტოლსტოის ხსოვნას,—ილია ნაკაშიძისა . . . .	56
X—უმავთულო ტელეგრაფი, — (თარგმანი), — დ. ჭანაშვილისა . . . .	60



## ე შყარო ვარ.

292



ე შყარო ვარ, მთების შვილი,  
მოკისკასე,  
მოწანწკარე...  
მწვანე მდელო, უცხო მტილი  
შევითვისე, შევიყვარე...

ხან ველს უმღერ წყნარ ძილის პირს,  
ტყეს მოუთხრობ მხიბლავ ზღაპარს...  
ხანაც ვკოცნი ნარნარ ზეფირს,  
ხან ვაღვიძებ მწვანე მთა-ბარს.

განთიაღზე, როს ტოროლა,  
ცის ეთერში ხმასა ჰქარგავს,  
მოლივლივე დილის ცვარი  
ზურმუხტოვან მდელოს ჰქარგავს...

როს ბულბული ციურ სტვენით  
 უცხო ჰანგებს აკისესებს,  
 გაღვიძებულ ბუნების გულს  
 შვება-ლხენით  
 ჰეიბლავს, ავსებს,

ოდეს სიო, ფრთა მსუბუქი,  
 ტყეს დალალებს უხუჭუჭებს,  
 პირველ სხივთა ოქროს შუქი  
 დამიკოცნის ვერცხლის ტუჩებს,  
 დავეშვები ძირს სიმღერით,  
 მოჩუხეჩე მთისა წყარო ..  
 მეც მსურს დავსტკბე მზისა მზერით,  
 გავიხარო... გავიხარო!!!

კ. აბაშისპირელი.





## ზურაბის თარი.

III

(დასასრული).



მ ღროს, ჩემ გოგია,—წყნარად დაი-  
წყო ზურაბმა და გოგიას თავზე ხელი  
დაადო,—შენ მესამე წელში ჩადექი;  
პატარა იყავ, ასე რომ შენ ეს ამბავი არ  
გახსოვს. მანამ შენ დაიბადებოდი, მე მყავდა უკვე შენსავით  
პატარა, ლამაზი, შავ-თმა-ხუჭუჭა, შავ-თვალია ვახტანგი, ჰევია-  
ნი—როგორი, რომ შენ არ ჩამოგივარდებოდა. მაშინ მეც  
ახალგაზრდა ვიყავი, ძიყვარდა ლხინი, მხიარულება და მეტა-  
დრე თარის დაკვრა; თარი ჩემთვის ყველაფერი იყო თითქმის.  
— აქ ახლო სოფელში,— განაგრძო ზურაბმა: — ერთი აზ-

ნაურუვილი სცხოვრობდა თავის ოჯახით; ოჯახი მუწერული იყო, დმტრის ყველაფერი მიეცა იმათვის, მხოლოდ ერთი უბედურება დასტრიალებდათ თავს: დედიან-ბუდიანად ყველანი ჭლექით იყვნენ ავად; ის აზნაურუვილი მეომარიძე იყო გვარად და სახელად ოთარი ერქვა,—პო და ეს ოთარი ჩვენის ოჯახის დიდი მეგობარი და ნათესავიც-კი იყო; ამიტომ ერთმანეთში ხშირად დავდიოდით, დიდი მისვლა-მოსვლა გვქონდა. ის თარი, ახლა რომ დარბაზში ჰკიდია, გოგი, წინად იმისი იყო და იმანვე მასწავლა დაკვრა. ისე მშვენივრად უკრავდა ოთარი, რომ იმის ხელში თარი სულ ჰკვნესოდა; ქვაც-კი ატირდებოდა იმის უკრის გდებით. ამბობენ, საკრავი თითქმის ყველას უყვარს, მაგრამ სნეულები და მეტადრე ჭლექით ავადყოფები-კი მეტის-მეტს სიყვარულს იჩენენ და ხშირად შეუდარებელი დამკვრელებიც არიან; იქნებ, სწორედ, ამიტომ იყო, რომ ოთარს თარის დაკვრაში ბადალი არა ჰყავდა.

რაკი ასეთის ულმობელის სენით იყო მთელი ოჯახი ავად, ოთარს თითქმის ყოველ წლივ შვილები ეხოცებოდა და ერთიც არ შერჩა. გულ-დამდულრებული ოთარი დარცს იმით-ლა იქარვებდა, რომ ხშირად — თითქმის მთელი დღე — უკრავდა თარს. ბოლოს იმდენად გაუჩანაგა საწყალს ჭლექმა ოჯახი, რომ ცოლიც მოუკვდა და დარჩა მარტოდ-მარტო. მას შემდეგ, თარი როგორც ჩამოჰკიდა კედელზე, სიკვდილამდის ისე ეკიდა იმის ოთახში ხელუხლებლად. სიკვდილის უკანასკნელს წამს-კი, როცა მთელი ნათესაობა და ახლო მეგობრები თავს დავტრიალებდით საცოდავს, ის თარი მე მიანდერძა.

ზურაბმა მძიმედ ამოიხსრა და ცოტა შეისვენა. კატოს ცრემლები თვალებიდან ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა და მოწმენდას ვერ ასწრობდა; ორი სტუმარი გაქვავებულებივით შეცყურებდნენ ზურაბს, ცნობის-მოყვარულობით გატაცებულნი, გოგია-კი მამას მუხლზე დაყრდნობოდა პატარა ხელით; ხელზე ნიკაპი დაებჯინა და მამას თვალს არ აშორებდა.



— აი, ჩემო ზურაბ, მითხრა სიკვდილის წინ ოთარა, —  
განაგრძო ზურაბმა, აი, ვკვდები კაცი, სანთელივით დამაღ-  
ნო შეუბრალებელმა სენმა; ცოლ-შვილი ამომიწყვიტა და ახ-  
ლა მეც აღარ დამინდო; ვკვდები, ჩემი ჯერი დადგა, რო-  
გორც სხანს. არ ვიცი, ამ თარის ბრალია, რომ ასე უღმიერ-  
თოდ ამომიწყდა ოჯახი, თუ ჭლექმა გადაგვიტანა ყველანი; მა-  
გრამ მაინც მგონია, რომ ამ თარს რაღაც ძალა აქვს. არ ვიცი,  
წინად ვის ეკუთვნოდა ეს თარი, ძველის-ძველი კია. მამიჩე-  
მისგან-კი გაგონილი მქონდა, ეს თარი ბევრ საშინელ ამბის  
მოწამეაო. სხვა ჩემს ადგილს, ყოველ იმ უბედურების შემდეგ,  
რაც მე და ჩემს ოჯახს გადაგვხვდა, ამ გრძნეულს თარს აქამ-  
დე ნამტვრევებად აქცევდა, მაგრამ მე მიყვარს ჩემი თარი,  
ისე მიყვარს, რომ ჩემს თავსაც-კი მირჩევნია. მარჯვენა უნდა  
გამიხმეს, რომ დასამტვრევად გავიმეტო. ახლა-კი ვის დარჩე-  
ბა ეს თარი, ვინ წაიღებს? ერთად-ერთი ადამიანი, რომელსაც  
შემიძლიან მოსვენებულის გულით ჩავაბარო ეს ჩემი ძვირფასი  
განძი და ჩემის უბედურების მოწამე, შენა ხარ! ვიცი, რო-  
გორც გიყვარს თარი და როგორი შეუდარებელი დამკვრელი-  
ცა ხარ! აი, ჩემო ზურაბ, ეს იყოს ჩემი ანდერძი: წაიღე ეკ  
თარი, შენთვის დამილოცნია და, აბა, შენ იცი, როგორც  
თვალის-ჩინივით შეინახავ! მანამდის-კი ჩამოილე, სიკვდილის  
წინ ერთი კიდევ დაუკრა უკანასკნელად და მერე შენია.

მე მაშინვე ვეცი თარს, ჩამოვიღე ჰედლიდან და მივა-  
წოდე; მინდოდა, უსაზღვროდ მინდოდა ერთი უკანასკნელად  
კიდევ მოძესმინა ოთარის დაკვრა. ავადმყოფი ძლიერ-ძლიერ-  
ბით წამოჯდა-ლოგინზე, თარი გამომართვა, მომართა და თა-  
ვი გვერდზე თარისკენ გადიოთ... დაუკრა, რა დაუკრა, რომ  
ტანში ყველის ურუანტელმა დაგვიარა! ისე საცოდავად ააკვ-  
ნესა, რომ ყველის, ვინც-კი იქ ვიყავით, თვალებიდნ ცრემ-  
ლები წაგვისკდა. საწყალი ოთარი! პირველიდ მაშინ ვიგრძენ-  
ის, თუ რაძეენად ძლიერ სწყურია მომაკვდავს სიცოცხლე;  
თარი თითქოს მოსთქვამდა პატრონის ნაცვლად, რომ ასე აღ-



რე დამაკუნო წყეულმა ჭლექმა და სამარის კარს მიშრუცხდება, მე-კი ჯერ ისევ მწყუროდა სიცოცხლეო.

ასე უკრა თთარმა რამდენსამე ხანს, თვალები მიღულა, სუნთქვა შეეკრა და მკვდრის ფერს სახეზე ისეთი ტანჯვა და მწუხარება გამოეხატა, რომ ვერ იგრძებ; ბოლოს ღელვით დაღლილ დაქანცულმა უკანასკნელად ჩამოჰკრა, გამოსალმების ნიშნად, სიმებს, ძლიერ-ლა მოასწრო გამოეწოდებინა თარი და უსულოდ დაეცა საწოლზე.

რამდენსამე ხანს გაუნძრევლად ვიღექით უკელანი; მოჯა-დოვებული ვიყავით მის დაკვრით და ჯერ ოცნებიდან ვერ გამოვრკვეულიყავით; ბოლოს, როცა გონს მოვედით და თარს დავხედეთ, ვნახეთ, რომ ერთი სიმი გამწყდარიყო...

#### IV

ზურაბი ადგა, გაიარ-გამოიარა, ისევ თავის ადგილს და-ჯდა და განაგრძო:

— გავიდა დრო, ჩემო გოგია. საწყალი თთარი მიწის მიებარეთ; ბევრი არ მითიქრია, ჩამოვიღე კედლიდან თარი და სახლში მოვიტანე. აბა, ჩემის მეგობრის ანდერძს როგორ გადაუდგებოდი; მერე თარიც მშევნიერი იყო; იმისთანა ხმია-ნი და ნაკრივი ძნელად სადმე შეხვდება კაცს. დიდხანს ხელს არ ვახლებდი. რაღაც მაშენებდა და მასთან ერთად სა-წყალი თთარი და მისი უბედურება თავიდან. არა მშორდებო-და. ჩემი თარი სხვას გადაულოცე, ვიფიქრე თრი რათ მინდა, ჩემს მეგობარს მივცემ-მეოქი. ბოლოს ჯელარ მოვითმინე, სურ-ვილმა წამდლია: აგილე თარი, სწორედ ის თარი, ჩემო გოგი, კედელზე რომ ჰკიდია და სიმი ავაწყე. არ მინდოდა დამეკრა, რაღაც წ ნადგრძნობა მაშუხებდა, მაგრამ ვერ მოვითმინე: ავ-დექ და სიმებს ჩამოვკარ, ივყე და ავყე თარის ელერას, უკე-ლაფერი დამავიწყდა, აღარ ვიცოდი, სად ვიყავ და სად არა.

ვახტანგი წინ დამჯდარიყო და სულ-განაბული ყურს უფრთხოების მისამართის მიერ და თარის უღერის. საშინლად უყვარდა საწყალს თარის ყურის გდება და მეტადრე, როცა მე უკრავდი, გვერდიდან არა მცილდებოდა, მთლად ყურადღებად გადაიქცეოდა ზოლმე. თავს ვეღარ ვალწევდი ჯადოსნურს ძალას, რომელმაც თითქოს თარი სამუდამოდ შემასისხლხორცა. დიღხანს უკარ ასე თავდავიწყებით და ბოლოს, როდესაც ათასგვარი ვრძნობა გამოცემული და დავიღალე, იყან კალებულის ხელით ძლიერ მოვიშორე თარი და თითქმის ძალად ჩამოვკიტე კედელზე.

ვახტანგი, შენი ძმა, ჩემო გოგია,—განაგრძო კვლავ ზურაბმა:—მთელი დღე დარბოდა, ცელქობდა ჩვეულებრივ.. გავიდა რამდენიმე დღე და ვახტანგი ავად გახდა; თურმე ნასადილებს საბანაოდ წასულიყო, დიღხანს ყოფილიყო წყალში და ამიტომ გაცივდა; სალამოზე სიცხე მისცა. მე და დედა შენს, გოგი, გული გადმოგვიბრუნდა შიშით, ოლარ ვიცოდით, რა გვექნა.. სიცხემ თან-და-თან უმატა; მოცდა ალარ შეიძლებოდა, ავდექ, ცხენი შევაკაზმინე საჩქაროდ და ქალაქისკენ გავწიე ექიმის მოსაყვანად. დილოს ექიმი მოვიყვანე, მაგრამ მეშინიან, რა მეშინიან, რომ ვახტანგი ვეღარ მორჩება! ექიმმა დიღხანს სინჯა ბავშვი და ბოლოს მითხრა:

— ბავშვი ანთებით არის ავად და დიდი მოვლაა საჭირო. თავს ნუ დაზოგავთ და მოუარეთ, მორჩენა კიდევ შეიძლება.

ვთხოვეთ, ვევედრეთ დარჩენილიყო, მაგრამ უარი გვითხრა, რადგან სადღაც მსახურობდა სავადმყოფოში და თავს ვერ დაანებებდა საქმეს. გვითხრა, როგორც უნდა მოვქცეულიყავით და წავიდა. დავრჩით მარტონი, უკანასკნელი იმედიც გაგვიქრა... მეტი ჯანი არ იყო, უნდა ბედს დავმორჩილებოდით. მთელი ორი კვირა თვალი არ მოგვიხუჭია ორთავეს; ან ერთი ვაკრაულობდით ან მეორე, უფრო-კი ორივე ლოგინთან ვისხედით და შევყურებდით; დედას შენი მოვლაც სჭირდებოდა და შენიც ეშინოდა, ახლოს ოლარ გიყარებდა.

ძალ-ლონე აღარც ერთს ჩვენგანს აღარ შესა ამ ხნის უცნებელი ლობაში; სული კბილით გვეჭირა: დავიღუნებოდით, ყურს მივადებდით ვახტანგს ახლოს, გვინდოდა გაგვეგო, სუნთქავდა თუ არა, ცოცხალი იყო კიდევ თუ არა; ბავშვი-კი თან-და-თან უარესად ხდებოდა და ბოლოს იშვიათად-და მოდიოდა გონს, ძლივს და გვცნობდა. დავკარგეთ ყოველივე იმედი; ცხადად ვხედავდით, გოგი, რომ ბავშვი ხელიდან გვეცლებოდა.

— ერთ სსაღამოს ვახტანგი გონს მოვიდა,—დაიწყო კვლავ მცირე ხანს გაჩუმების შემდეგ ზურაბმა,—მოელი დღე თითქმის უგრძნობლად იწვა და გვეგონა, გონს აღარ მოვაო; გადამოვხედა ორივეს და გაგვიღიმა. ჩვენ ცოტა გულს მოვდეშვა, ვთქვიო, შეგვიბრალა ღმერთმა და შვილი დაგვიბრუნაო. მერე ისევ დახუჭა თვალები და ცოტა ხანს ასე იწვა. ბოლოს თვალი გაახილა.

— მამილო, — მიმქრალის ხმით მითხრა საცოდავმა, — მა-მილო, აიღე თარი, დაუკარი. მე ძალიან მიყვარს, როცა უპრავ; მინდა შენი დაკვრა გავიგონო.

თარისთვის ხელი აღარ მიხლია მას შემდეგ, რაც ერთხელ დაუკარი. თარის დაკვრა ისე მენტელებოდა, როგორც კაცის მოკვლა... მაგრამ შვილი მთხოვდა, ავადმყოფი შვილი და როგორ მეთქვა უარი! რას ვიზამდი?! ავიღე თარი და დაუკარი. ბავშვი ყურს მიგდებდა და თან ნელ-ნელა თვალები დახუჭა. შევჩერდი და ვახტანგისკენ გადავიხარე.


— კიდევ, კიდევ, მამილო, დაუკარ, შენი ჭირიმე! — გა-ახილა თვალი ვახტანგმა და შემეხვეწა.

ხელახლად ავყე თარის ქლერის. ვახტანგმა დიდხანს უგდო ყური და თვალები ისევ დახუჭა. უკბად ისე საშინლად გა-ახილა თვალები, რომ ორივენი წამოვხტით, მეცა და დედა-შენიც. ხელი თარისკენ გამოაწვდინა, თითო ჩამოჰკრა სიმებს და ხელი ისევ ჩამოუვარდა... ცოტა ხანს კიდევ იწვა ასე და

ბოლოს ხრიალი დაიწყო... ცხადი იყო, სულთ ებრძოლება  
ატირდა დედა შენი, ისე ატირდა, რომ სულს ძლივს იბრუ-  
ნებდა. მე ვეღარ მოვითმინე, გავვარდი გარედ და ჩავეღი ვე-  
ნახში. იქ კაჯალ ქვეშ დავეცი ძირსა და დიდხანს, დიდხანს  
ვტიროდი ჩემის სიყრმის შვილის დაკარგვას...

დემნა მროველი.





## ზღვის შვილი.

(მეზღვაურთა ცხოვრების ამბავი).



ბდელი პატარა იყო, სულ 12 წლისა, მაგრამ ცხოვრების ავ-კარგს აღრე გასცნობოდა. დედის სიკვდილი არც კი ახსოვს, და-ძმა არც-კი ჰყოლია, მამის ერთა იყო. მისი მამა უკვე ქაღარი შერთული, ჯაფისაგან გატეხილი ქართველი მაჰმადიანი იყო, რომელსაც, ზღვის პირას დაბადებულს, ზღვაშივე სიკვდილი გადაეწყვიტა.

ჩაისვამდა ნავში პატარა აბდელს, მკლავს ბადის თოკს გამოიბამდა და შეერეოდა ზღვის ქარტეხილს; ნავის რყევა გულს აამებდა, ტალღათ თამაშე ეცინებოდა.

აბდელიც აკვირდებოდა და ითვისებდა მამის რიხსა და გაბედულებას.

— ერთხელც იქნება ჩემი ბედი ზღვაში ჩაკვდება, შვილო, — ეტყოდა ხანდისხან მამა აბდელს, — ვაუკაცს სიკვდილისა არ უნდა ეშინოდეს; მხდალი კაცი ზღვას ეჯავრება. რაც სათქმელია, სჯობს გითხრა ახლავ, რადგან ფათერაკს გზა მუ-



დამ სხნილი აქვს, ვინ იცის, ხვალაც ვკვდები, დიდეჭირებული  
რთსა! მამამ პატარა დამტოვა, მაგრამ გონება როდი დამებ-  
ნა: ერთს ვაკარს მოჯამარიედ დაუდექ; სამი წელი ვიყავი  
იმასთან, ჯამაგირს ვაგროვებდი. მერე შეგროვილ ფულით ნა-  
ვი ვიყიდე და გავყე ზღვას; ოცდა-ათი წელიწადი იქნება, რაც  
მებადურედა ვარ და ბედს სულაც არ ვემდერი.

თუმცა განსაცდელში მრავალჯერ ვყოფილვარ, ბედს უხ-  
სნივარ, ალბად ყისმათი ჩემკენ იყო; უნდა გითხრა, მკლავიც  
მერჩოდა, — ახლა სხვაა: დრომ თავისი ქნა, ძნელი ყოფილა  
ზღვასთან ჭიდილი: წელში გავწყდი, შორს აღარ არის დრო,  
როდესაც ზღვის ტალღა ხელს დამრევს და გადამიტანს.

მამის ამ ვვარ ნაღვლიან თქმაზე აბდულს ცრემლი მოე-  
რეოდა ხოლმე და შიშით გაპყურებდა, დანახვა არც-კი უნ-  
დოდა იმ მომავლისა, როცა მამა აღარ ეყოლებოდა.

7—8 წლის აბდულს მამის დაღონება აკვირვებდა; ვერ  
გვეგო, რა ჰქონდა მამას დასაღონი? თევზი, ჰური და ხანდის-  
ხან კვირაობით ხორცი, ბევრი ჰქონდათ, მაშ, რაღა უნდოდა?

მამა ერთად-ერთ აბდულს მეტად უფრთხილდებოდა; თი-  
თქოს რაღაც ჭია ჩაუძერა: გულში რა მის სიცოცხლეს ღრღნი-  
და, რაღაც ავი სული თავს დაჭარფატებდა და მალე სიკვ-  
დილს უქადდა.

ისიც ფრთხილობდა: ჭარტეხილისა და ღელვის დროს  
აბდული შორს არ მიჰყანდა და ბავშვის ენიანობაზედ, შორს  
წიმიერანეო, ეტყოდა ხოლმე: იყუჩე, შვილო, ზღვის შეჭიდება  
კაცს ხელს არ მისცემს, ჯერ პატარა ხარ, მკლავი ვერ გიტ-  
რის, როცა წამოიზრდები, მაშინ დაჭყე და აპე ზღვის კალ  
თები.

დრო ნელი, აუჩქარებლივ, კუს ნაბიჯით უფერულად მი-  
დიოდა, მიდიოდა და უთქმელად დიდ ტვირთს მიათრევდა...

მამის წინასწარი გრძნობა გამართლდა. ერთხელ, როდე-  
საც აბდული ტოლებში უდარდელად თამაშობდა საღამო ხან-  
სა, — იმის მამას ღელვამ მოუსწრო და ჩაღუპა ზღვაში. ნაპირს

ცარიელი ნავი მოადგა. წუხილი ღიდი ჰქონდა აბდულის, შაგრამ ერთ შორეულ ნათესავის მოხუც მებადურის რჩევით, გული მოიცა. მამისეულ ნავს უპატრონა და იმავ წლის გაზაფხულიდან საქმეს შეუდგა.

შავის ზღვის ნაპირები, მეტადრე ოჩემჩირიდან გაგრამდის, საუცხოვო სანახავია, რაკი რბილი ზამთარი პატრონს ჩაპირდება და ჰაერში მიწა დაიორთქლებს.

გაზაფხული იდრე უწევს და ზაფხულიც ცხელი არ არის. მოაგარაკეთა რიცხვი მუდამ ღიდია. ამ შემთხვევაში ზღვას რაღაც მიმზიდველობა აქცი, ყველა ზღვას ეტანება.

მოხუცმა მებადურმა აბდულს ბევრი კარგი რამ უთხრა: „ტირილისა და ვაიუშის დრო არ არის. შენოდენები კვერცხში წივიან. გაზაფხულიდან ამ ჩვენს ქალაქში ბევრი მოაგარაკე მოვა. შენ ნავი გაქვს. იმათ ზღვაზე ნავით გასეირნება ძალიან უყვართ. თითო უზალთუნს (10 კ.) არავინ დაიშურებს. სამყოფს მუდამ იშოვი. თავისუფალ დროს კიდევ თევზის ჭერას გასწავლი და, ღმერთი მოწყალეა, იოლას წახვალ.“

აბდულმა გაიგო საქმის ძალა და დაეთანხმა.

გაზაფხული როცა მიიწურა და ზამთრის ხილმა დაიყვავილა, — შავის ზღვის ნაპირებს მოაგარაკენი ბლომად მიაწყდა. სხვა მენავეთა შორის აბდულიც იყო, ნაპირს მისდგომიყო ნავით და მოსეირნეთ ხმელეთიდან ზღვისკენ იწვევდა ხოლმე.

მოხუც-მებადურის სიტყვა გამართლდა: აბდული დღეში 60—80 კაპ. იღებდა და თავის ბედისა მადლიერი იყო.

— ფულის ყადრი ახლავე უნდა ისწავლო, — ეტყოდა ხოლმე მოხუცი მებადური, — ცოტა ხარჯე, გადარჩენილ ფულით ეგებ ზამთრისთვის ფქვილი და სხვა რამ მოინალვლო და, მუშაობისგან თავისუფალმა, ზამთრობით სკოლაში იარო. ნასწავლი კაცი, წიგნის კაცი ახლა პირველობს.

აბდული სიტყვის გამგონი გამოდგა. დილით სათევზაოდ მიღიოდა მზის ამოსვლისას. მართლა, რა კი სანახავია მზის ამოსვლა ან ჩასვლა ზღვაზე, როცა ნახევარ ზღვა წითლად

აიტკრიცება, ცაზედ წამოგრაგნილი ღრუბლები, თითქმის უსაშობრივი რცხვილით, აწითლდებიან და ზღვას სარკეთა ხმარობენ. მაშინ ზღვაც, ისე თონთქოლს ჩვეული, წყნარად ლივლივებს.

აბდულს თუმცა მრავალჯერ ენახა ზღვის სურათები, მაიც თვალს ვერ წაართმევდა ხოლმე მზის ამოსვლას და ფრინველთა პირის ბანებს, თან ფრთხებით ბარტყუნს.

დაჭრილ თევზის რაოდენობა ძალიან დიდი არ იყო— სულ 25—30 კაპეკისას ჰყიდვა დღეში, მაგრამ ხელ-მომჭირნე აბდულისთვის დიდი ფული იყო.

თევზაობის შემდეგ შუადლემდის მოაგარაკეთა ლოდინში იყო ნავით ნაპირებთან, მერე, რაკი დრო გადავიდოდა და ჩამოცხებოდა, მოხუც-მებადურს მიჰმართავდა ანბანის სასწავლებლად.

— ბიძიავ, თორმეტი ასო ვიცი უკვე, შემდეგ გაცყვეთ,— ეტყოდა ხოლმე ქოხში ჭილობზე წამოწოლილს მოხუცს აბდული.

— მოიტა ფიცარი და ცარცი. ფისით გაშავებული ფიცარი და ცარცის ნატეხი მზად იყო

— ეს მ, ეს ნ, ო, ე (ჰოე)—გეყოფა ოთხი ასო?— ჩაეკითხებოდა ბიძია.

— მეყოფა, მეყოფა, უფრო აღვილად ვისწავლი. — დაეთანხმებოდა აბდული.

მიაყუდებდა ქოხის კარს ფიცარს და კარგა ხნობამდის გაისმოდა აბდულის ძახილი; მან, ნარ, ონ, ჰოე!

შე რაკი გადიწვერებოდა და ზღვიდან ნიავი დატკრავდა,— აბდულიც ნავს მოაშურებდა და მენავეთა რიცხვში გაერეოდა.

— დარიკო, მოდი ნავში ჩავსხდეთ!— უთხრა ნაპირას მოსეირნე 12—13 წლის გიმნაზიელმა არჩილმა თავისს უმტროსს დას.

— რო დავიხრჩვეთ?

— დავიხრჩვეთ-კი არა— გადავიხრჩვეთ! მთელი ქვეყანა



ნავებით სეირნობს და რატომ არავინ იხრჩვება. რაიგოჭიანებული  
სალამოთი ზღვა! წამო, წამო, თორემ სხვები დაგვასწრებენ,  
ნავებს ისინი დაიკერენ და დარჩები ხახა-მშრალი.—არწმუნე-  
ბდა არჩილა.

დამაც ხათრი ველარ გაუტეხა და ნაპირთან მივიღნენ.

— პატარა ბიჭო, ნავით გაგვასეირნე, ხომ კარგადა ჰემა-  
რობ ნიჩაბსა?!

— მობრძანდით, მობრძანდით, მა რა ხელობა მაქვს?!—  
მჯვირცხლად უბასუხა აბდულმა და ნავი ნაპირს დაუგვერდავა.

მზე ჩასვლის აპირებს, ზღვა მეტად წყნარია, ოდნავ  
ნიავიც კი არ სისინებს და კარგი სანახავია,—უქო ზღვა  
მგზავრებს აბდულმა.

მართლაც არა შეედრება-რა ზღვას სალამოს ქამისას, რო-  
ცა მზე უკანასკნელ სხივებს მის ტალღების ფართხალში აჭრელ-  
აგვირისტებს.

— არჩილ, ზღვა თუ ერთ ადგილსა სდგას, როდად მო-  
ძრაობს?—დაეკითხა დარიკო ძმას.

ეს მართლაც ძნელი ასალსნელი იყო: ზღვა ერთს ად-  
გილს იდგა, მაშ, რაღა ამოძრავებდა? ჩაფიქრდა არჩილი, დის  
კითხვაზედ ჯავრიც-კი მოუვიდა, მაგრამ ეხტიბრის გატეხა,  
ცოდნის არ გამოჩენა, ისიც უმცროსთან, ძალიან ეთაკილე-  
ბოდა, მით უმეტეს, რომ აბდულიც ადევნებდა, ყურს მისს  
პასუხსა.

— ზღვა არა სდგას. ჩვენმა გეოგრაფიის მასწავლებელმა  
სთქვა, მდინარესავით მოძრაობსო, — იტყუა არჩილმა და  
ფონს გასასვლელად მასწავლებელი ჩამიიზიარა თავის ტყუილ-  
ში. აბდულს არ ექაშნიკა არჩილის პასუხი, სხვა ამ დროს  
გაჩუმებულა, მაგრამ ტოლებს არ მოერიდა:

— ის არ ვიცი, ყმაწვილო, მასწავლებელი რას ამბობს,  
მე სკოლაში არ დავდივარ, მაგრამ ბიძია-მებადურმა, ძლიერ  
ჭკვიანმა და ბევრის ქვეყნის მნახველმა, მითხრა, რომ ზღვა

ერთს აღვილს სდგას, მაგრამ ოდნავი ქარიცუკი მოძრაობის მიზან  
მოიყვანს და დიდი ხომ ღელვას გამოიწვევს.

— ჰო, ჰო, მგონი აგრეთ, მეც გამიგონია, მამამაც ასე  
სთქვა ერთხელ.—დაემოწმა დარიკო აბდულისა.

არჩილს შეტყვა; მისი მშვიდი ხასიათი წყენას არ მი-  
იკარებდა.

— Իս Յունի, ոյնց զշրջ ոյտե. — Ըստանեմա առհօլո.

— შენ ამბობ, რომ ბიძია-მებადურმა გითხრა ეგ ამზები?! —  
ცრნობის-მოყვარულობით დაეკითხა დარიკო აბდული.

— დიალ. იმასთან ვცხოვრობ, რადგან დედ-მამა იღარა  
მყავს და საღამოობით, როცა ძილისთვის გავემზადები, — ბიძია  
სხვა-და-სხვა ამბავს მიამზობს და ხანდისხან ზღაპრებსაც მეტყვის  
ხოლმე.

— საწყალო, დედ-მამა ოლარა გყავს!? მერე, არა დარღობ, არა სტირი ხოლმე?! — ეკითხებოდა დარიკო და სიბრალულით კინალამ თვითონ არ იტირა.

— ეჭ, ტირილით ბევრი ვიტირე, მაგრამ დედ-მამა არვინ  
დამიბრუნა. მერე იმ ბიძია მეჩაღურმა, ჩემმა შორეულმა ნა-  
თესავმა, გულის ხმაში ჩამაგდო და სწორე გზაზედ დამაყენა:  
ხან თევზს ვიჰქერ და ხან ასე ნავს ვამუშავებ და იოლის მივ-  
დივარ.

— დედ-მამა არ მოგავონდება ხოლმე, ერთის წუთით მა-  
ინკ? — ჩაცრივდა დარიჭა.

— მომავალნდება ხოლმე.

— მერე? არ იტირებ ხოლმე?

— ვიტირებ, მაგრამ ბიძისა სჭყინს, როცა ვტირი, და რამე ამბავს მიამბობს ხოლმე. ხან კიდევ ანა-ბანის სწავლით ვერთობი.

— Հոն յասկազլուս ան-ձանս?

— ბიძია. „ონამდის“ ვიცი. თუ ფული მოვაგროვე და  
საზამთრო საკვები ვიყიდე, — ბიძია მჰირდება, სკოლაში გატა-  
რებო.

პატარა ხანს გაჩუმდნენ, რადგან უკვე შორს წასულიყვნენ და ნავის მობრუნება იყო საჭირო.

— შორს, შუა ზღვაში ჰყოფილხარ? — დაეკითხა ახლა არ-ჩილი.

— ამ პატარა ნავით-კი არა, დიდი ნავით ვყოფილვარ, მეზობელ მეზღვაურებთან ერთად იმ სიშორეს, რომ ნაპირები არც-კი სჩანდა.

— მერე არ ვეშინოდა?! — ერთხმივ დაეკითხნენ და-ძმა, რომელთაც ნაპირთან ცურვისაც-კი, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ.

— რისა უნდა მეშინოდეს. მამაქემი მეტყოდა, ზღვის მშიშარები არ უყვარსო. მე ზღვის შვილი ვარ, ბევრიც რომ მეშინოდეს, ზღვას სად გავექცევი. აქ დავიბადე, აქვე ვიცხოვრებ.

უკვე ნაპირს უახლოვდებოდნენ, მოსეირნე ხალხის ქრი-მიული გარკვევით ისმოდა.

— შენ სულ ამ ნაპირსა ხარ მენავეთა შორის?

— დიალ, სულ იქ ვარ დილა-სალამოს.

— შენი სახელი, — რა გქვიან?!

— აბდული.

— აბდული?! მერე ქართული საიდან იცი?! — გაჰკვირდა დარიკო.

— ქართველი ვარ და იქიდან.

— რა რჯულისა ხარ?

— მაჰმადიანი, ქართველი მაჰმადიანი.

— ნახვამდის, გამარჯვებით, კიდევა გნახავთ. — გამოე-თხოვნენ, აბაზიანი ხელში ჩაუდეს და ხალხს შეერივნენ.

---

— ბიძია, დღეს ორი ქალ-ვაჟი ნავით ზღვაში ვასეირნე და კარგი ამბები მითხრეს: ვინაობა გამომკითხეს და ჩემი ობ-ლობა რომ გაიგეს, გული დასწყდათ. ძალიან კარგები იყვნენ

და-ძმანი. მითხრეს, კიდევ გნახავთო. მართლაც და, თუ კი-  
დევ შემხვდნენ—ქოხში მოვიყვან და სათევზაო იარაღს ვა-  
ჩვენებ.

— კარგი, შვილო, მოიყვანე. მაგვარი ხალხი ფათერაკს  
არ შეგვრის, მხოლოდ აქაურ უსაქმურ ქუჩის ბიჭებს ერიდე—  
ცულლუტობას შეგაჩვევენ,—დარიგების კილოთი უთხრა ბი-  
ძიამ.

აბდული მოუთმენლად ელოდა მეორე დღეს, რომ ახალ  
გაცნობილთ კიდევ გამოჰლაპარაკებოდა.

12—13 წლის აბდული კარგის თვალ-ტანადობისა იყო  
წლოვანობის დაკვალად: შავი სატინის შარვალი, იმერული  
წუღები, ლურჯი ხალათი და ოსმალური ფესი—მიზიდველო-  
ბას აძლევდა, თუმცა წყეული ობლობა მის მკვირცხლს ხასი-  
ათს თავისს ბეჭედს ასვამდა: როცა მისი ტოლ-ამხანაგნი ყი-  
ჯინით საბანაოდ ზღვას მოედებოდნენ—აბდული ნაპირს არა  
შორდებოდა, გაუშტრერებდა თვალს ზღვის მოძრაობას, თი-  
თქოს ზღვასა სთხოვდა მამის დაბრუნებასა. რაღაც მოწყენი-  
ლობა შეეპარა და ხალისი დაუდგრომლობისა დაკარგული  
ჰქონდა.

სხვა მენავენი ხშირად მოჰქცევიან უსამართლოდ: აბდუ-  
ლის სიპატარავე ბოროტად მოუხმარიათ და აბდული უკან მი-  
უყენებიათ, წინ თვითონ ჩამომდგარან და ნაპირას მოსიარულე  
მოაგარაკენი წინ თვით უმაღ მიუჰატიუნიათ.

— ეჸე, აგერ აბდული უკვე გვიცდის, აქეთ წამოდი ქე-  
თინო, აქეთ!—უივილ-ხივილს არ ჰშლიდნენ ბავშვები; დარი-  
კო მათში ცხადლივ ერჩეოდა.

ქეთინო დარიკოს ამხანაგი იყო, მეგობარ ოჯახის შვილი  
და სული და გული არჩილ-დარიკოსთან გაერთებული ჰქონ-  
და. წინა საღამოს არჩილმა და დარიკომ იმდენი რამ უამბეს  
აბდულისა, ისე დაუხატეს საგრძნობლად მისი ავ-კარგი, რომ  
ქეთინოს აბდული რაღაც გმირად მიაჩნდა, კვეყნად მარტოდ  
დარჩენილი და ზღვის ტალღებთან საკუთარ მარჯვენით მე-  
ბრძოლი.



— თუ არა ცხელა, აბდულ, ნავით გაგვატარე. ჰნახავ, ქეთინო, როგორ მარჯვედა პხმარობს აბდული ნიჩაბსა. არ ისვენებდა დარიკო.

— არა, არ ეცხელება, ზღვიდან ნიავი გამოულეველია.— დინჯად უბასუხა აბდულმა და მოემზადა.

მართლაც ზღვაზედ არა ცხელოდა. რაღაც თბილი ნიავი მოსისინებდა. ქეთინო აღტაცებული იყო ზღვის სურათებით: დედ-მამა ზღვას არიდებდა და ახლაც იმათ დაუკითხავად და დარიკოს წაქეზებით წამოვიდა.

— აბდულ, ზამთარში ხო? არავინ ისეირნებს ზღვაზე ნავით?!— შეეკითხა არჩილი.

— ზამთარში ვინ გაპედავს. ენკენისთვის იქით ნავს მხოლოდ სათევზაოდ-ლა ვებმარობთ.

— მერე არ შეგცივა ზღვაზედ ზამთარში, ან განა რამ-დენს დაიჭრ?!— კვლავ ეკითხება არჩილი.

— ისე, თუ კარგი დარია, მაშინ ვითევზავებთ შე და ბიძია, ისიც ერთ აბაზისას თუ დავიჭროთ, ხან იქნებ ხელ-ცარი-ელნი დავბრუნდეთ,— ნაღვლიანის კილოთი განაგრძობდა აბდული.

— ბიძია ვინ არის?!— გულმა ვერ მოუთმინა და იკითხა ქეთინომ.

— ამის შორეული ნათესავია— მოხუცი, რომელსაც შე-ეკიდლა მამის სიკვდილს შემდეგ,— აულსნა არჩილმა.

— მერე თუ ვერაფერს ვერ დაიჭეროთ ხანდისხან, ორმა სულმა რითი უნდა იცხოვროთ?!— გულ-მტკივნეულობით შეკითხა დარიკო.

— იo ახლა ვაგროვებ ფულსა და, თუ ზამთრის საგზლის სამყოფი შემიგროვდა,— თავისუფალი ვიქნები ზამთარში თევ-ზაობისაგან და მაშინ სკოლაში ვივლი, ბიძია კიდევ გაახურებს ღუმელს, მოუჯდება გვერდთ და ყალიონის წევით თავს გაირთობს, ხან-კი ძველ ამშებს მოიგონებს. იმას ბევრი რამ გადაჭედია თავს, ხან-კი საძილისპირო ზღაპრებს იტყვის.



— მერე, აბდულ, ახლა, ზაფხულში-კი არ იტყვიანი დარიკომ, რომელსაც ზღაპრებისთვის სული სცვიოდა.

— რა ვიცი, იქნება სთქვას, თუ გუნებაზედ იქნება.— წაიბურტყუნა აბდულმა და ნაპირისკენ გამოსწია.

— იცი რა, აბდულ, მოდი ამ ზამთარს ქალაქში წამოდი ჩვენსას, იქ წერაუკითხებს ისწავლი, გაჭირვება არ გექნება,— სიტყვა შეაპარა არჩილმა.

— რა ვიცი, ბიძია რას იტყვის, ან თქვენს სახლში ბატონ-პატრონები თქვენ ხომ არა ხართ?!— ყოყმანითა სთქვა აბდულმა.

— ჰო, ჰო, აბდულ, ასე მოიქეცი, უარს ნუ იტყვი, ქალაქში წამოდი. იქ ჩემს ბაღჩას გაჩვენებ, სადაც ათას-გვარი ყვავილები მაქვს დარგული. ხან-და-ხან ზღაპარსაც მეტყვი; ბიძიამ რომ გასწავლა?!— ზედი-ზედ მიაყარა დარიკომ.

— ზღაპრების თქმა-კი ადვილია, მაგრამ...

— რაღა მაგრამ?— ერთხმივ სიტყვა გააწყვეტინეს არჩილ-დარიკომ.

— ეჭ, მე არა ვიცი-რა, ვიფიქრებ, ვიფიქრებ— ადვილი ხომ არ არის ზღვის დატოვება და ხმელეთად გასვლა. იმ თქვენს ქალაქში ზღვა არ არის!?

— ზღვა-კი არ არის, მაგრამ დიდი მდინარეა, ძალიან დიდი.— აულსნა არჩილმა.

— ნავები დადის ზედა?!— შეეკითხა აბდული.

— არა, არ დადის, მაგრამ ვისაც ნავი აქვს— ატარებს. — უთხრა დარიკომ.

— ამან რა იცის, წუხელ რა ჭამა, არ ახსოვს. ნავები როგორ არ დადის. ბორანიც-კი არის. — სცადა სიტყვის გამოსწორება არჩილმა.

გადასწყვიტეს ამ საქმისა კიდევ კარგად მოელაპარაკნათ

და მერე გაემუღავნებინათ: აბდულს—ბიძიასთვის და გარიყოს—დედ-მამისთვის.

თითქოს ჩვენთ ნაცნობთ ნატვრა შეუსრულდათ: ზაფ-  
ხულმა ფეხი ააჩქარა და მალე გავიდა, ბიძიამა და ორჩილის  
მამამ დაწვრილებით მოილაპარაკეს აბდულის მომავლის შესა-  
ხებ და დაასკვნეს, რომ აბდულს ქალაქში წაიყვანდნენ, წე-  
რა-კითხვას ასწავლიდნენ, ანუ, როგორც ბიძია აბარებდა,  
„წიგნის საქმეში გასწუროვნიდნენ“, აბდულიც დავალებული  
არ დარჩებოდა და სახლში ხელს წაახმარებდა.

— ბერი კაცო, ამ ბავშვების ატეხას რა უყო, თორემ  
სხვათა შვილის ცოდო მემძიმება, მაგრამ ენდე ჩემს პატიოსნე-  
ბას, რომ არ დავკარგავ! — დაარწმუნა მოხუცი მებადური არ  
ჩილის მამამ.

— არა, ბატონო, აბდული გონიერი ბავშვია და სიკეთის  
დავიწყება არ იცის. მთელი ქალაქი დღე მაგის ფეხი არ ჩაი-  
ხრება, მთელი ოჯახი რომ მაგის ანაბარად გაუშვათ,—ფიქრი  
არ არის. ჭამის ფასს მუდამ გადიხდის თავის შრომითა და  
მუყაითობითა. ბარემ არც მე მემეტება, მაგრამ თითონ გულ-  
მა გამოსწია და მეც აღარ აუხირდი.—თავისს მხრივ აცნობდა  
აბდულის ვინაობას მოხუცი.

კარგა ხანია აბდულისა აღარაფერი მსმენია; არც ის ვი-  
ცი, ორჩილიანთ ოჯახში როგორი მასპინძლობა გაუწიეს  
მხოლოდ ის-კი ცხადია, რომ, ზღვასთან შედარებით, ხმელეთ-  
ზე ნაკლებ სილალეს იგრძნობდა აბდული. დაბადებითვე ზღვას-  
თან მცხოვრები აღვილად ხმელეთს თვალს ვერ შეაჩვევს.

ამბად გავიგე, ვითომ აბდულს ქართული წერა-კითხვა  
კარგად ესწავლოს და ბეჯით მოწაფის სახელი სამართლიანად  
დაემსახურებინოს.



— რაკი გამოზაფხულდა და ჰაერში სიობო ჩაგარდნ, უცხაოება  
ლაქად ყოფნა აღარ ივარგებს, — ხშირად იტყოდა ხოლმე აბ-  
დული თებერვლის მიწურულებში. აბდულის გულის-თქმას ის  
მიხვდებოდა, ის გაიგებდა, ვინც თავის მშობელ კუთხეს მო-  
შორებულია. სხვა ქვეყნად ბუნების ფერ-ცვლილობა მოგაგო-  
ნებს შენს სოფელს, საღაც ბუნება უფრო ლამაზია, ხალხი —  
მიმზიდველი და სანახაობა — თვალ-წარმტაცი. გაგონდება ყველა  
წვრილმანი წარსულ ყოფა-ცხოვრებისა; გულში იქსვება რა-  
ღაც გრძნობა, სხვა გრძნობაზედ უფროორე ღრმა და ნაზი,  
ძლიერი და ობილი.

აბდულს მოუთმენლობა დაეტყო. იგრძნო, რომ თუ ზა-  
მთარში ქალაქად იყო აღსნა ადვილდებოდა, მაგრამ გაზაფ-  
ხულზე ქალაქად ყოფნა, როცა იქ ზღვის პირას ყველაფერი  
იღვიძებს და იშლება, — არ ეპატიებოდა.

— ჩემი ნავი, მგონი, უწყლობასა სჩივის, ნიჩაბი-კი, ვინ  
იცის, რა სამდურავს არ მითვლის: საძაგელო, სიცივეს გა-  
ქეცი და ჩვენ, შენი მეგობრები, აქ მარტო დაგვტოვეთ. ბიძია,  
ჩემი ბიძია! მოსწყინდა ალბათ უჩემოდ, მართალიც არის! მა-  
რტოკა ამ გრძელ ზამთარს მგონი თამბაქოს წევით გული გა-  
უწყალდა და თვალი ხმის გამცემისაკენა ჰრჩება. არა, უნდა  
მივეშველო ბიძიას, თორებ უკეთურს დამიძახებენ. — ჰავიჭრობ-  
და ასე აბდული და სტებებოდა.

— აბდულ, შენ ხომ აქაური აღდგომა ირ გინახავს? უჟ,  
რამდენ წითელ კვერცხს დაუკრაულებთ! მოიცადე, ისეთი  
კირკიტი კვერცხი გიშოვნო, რომ ვერავინ გაგიტეხოს, კირ-  
კიტი, კირკიტი. — არწმუნებდა არჩილი.


— მე კიდევ, აბდულ, ჩემს ბალჩაში ჯერ ყვავილები გა-  
იშალოს, რეები გაჩვენო!? — თავის მხრივ ჰპირდებოდა დარიკო.

— რას ვაქნევ კვერცხს, ან ყვავილებსა? ზღვა მინდა,  
ზღვა, თორებ კვერცხს და ყვავილებს ბევრს ვიშოვნი. არ  
ვარგა უზღვოთ ცხოვრება. — იტყოდა ხოლმე გულში აბდული  
არჩილისა და დარიკოს დაპირებაზედ.

მარტის დამდეგს, ოცა ქალაქში კარგად ჩამოახდინ და  
ხევბი ამწვანებას ეპირებოლნენ, — აბდულმა გულის-წალილი ა-  
სრულა: დილა-ადრიან ჩანთაშა „დედა-ენა“ გამოჰყრა, მო-  
გროვილი რამდენიმე მანეთი ჯიბეში ჩაიდო და ერთს წინად-  
ვე შეპირებულს ზღვის პირას მცხოვრებ მეზობელს შავი  
ზღვისაკენ გაჰყვა. არჩილს პატარა ბარათი დაუტოვა:

— „მათ არჩილ, თუმცა ყველა გულით მიყვარხართ, მაგრამ ზღვა უფრო მიყვარს. უჩემოდ ბიძის მოსწყინდებოდა. აბდული. “

### 3. ତାମରନ୍ଦିଶ୍ଵରିଲୀ.





## შემოწიგვა.



A black and white illustration of a man sitting at a table, eating from a large bowl with a spoon. He is wearing a dark jacket over a light shirt. A small inset circle shows a close-up of his face as he eats. The background is plain.

ილი აყრუებს არე-მარესა. მუხები, რომლებსაც ტოტების პრეზიდენტი ქოლგასავით გაუშლიათ, ისე გატიტვლებულან, რომ მთელის ტანით ცახცახებენ.

„ხუმრობა ხომ არ არის—ჩივიან გუნებაში ისე მოგვიკერს ყინვა, რომ ჭახახი გაგვქონდეს“.

— ვიშ, ვიშ, ვიშ—ოხრავენ ვერხვნი, რუხილანი, ცაცვნი—მართლაც რომ საშინელი დღეები გადაგვხდება.

— ეჭ, თქვენა სცახცახებთ შიშითა, რომელნიც სიღიადით ცამდის ასულხართ, და მე რაღა ვქნა ერთი ბეჭვა სულიერმა? როგორ გავართო თავი ამ ყიამით ზამთარსა? არც საკვები მეგულება და არც თბილი ბუდე,— ჰკვნესის ბელურა არყის კაპზე ჩამომჯდარი.

ჭიუხი \*?) ჭიუხი რაღას განიცდის ამ დროს? იქნებ იმის-თვის სულ ერთი იყოს, აინუნშიაც არ მოჰქონდეს შემოდგომის ენიელლიან დღეების დადგომა, რომელიც სევდიან ჰანგზედ ჰმართავს ყოველის გულს? იქნებ უგრძნობლად უყურებდეს ფრთოსანთა და მცენარეთა საცოდაობას? თხემით ტერფამდის ნისლით შემობურვილი, არ გეგონოთ მშვიდად განისვენებდეს. არა! მარად ჰკვნესის; ნისლი მისი შავი ფიქრებია. საცოდავს მეტ მწუხარებისაგან ცრემლი ვერ შეუმაგრებია და ნაკადულად გაღმოსჩეფს. რას მოსთქვამს? დაუგდოთ ყური.

„ვაი, რა ხან-მოუკლე იყო გაზაფხული, დრო კდემა-მოსილ ყვავილების პაემანისა! რა მალე გაბედითდა სიხარული, რომელიც კისკასებდა ვარდით ფურჩქვნილ მზის სხივებში! რა მალე დაიცარა სივრცე სევდის ჰანგებით! რა მალე გაჰქინენ ელვარე ფერადნი დედა-ბუნებისა!“

--- ჭიუხო, შენ რა გადარდებს? ხომ არც ზაფხულში იყავი მშვენიერებით შემკული? ხომ არც მაშინ გახარებდა შვლის ნუკრის ხტომა, ცისქრის მგოსნის კისკასი, ყვავილთა სურნელოვნება?— გამოელაპარაკა წერწეტა მთა, რომლის ქეჩი ერთ-

\*) ჭიუხი—კლდოვანი მთა, მწვერვალი.



ხელ ზურმუხტის ფერ არშიებით მოქარგულიყო.—სულითა მუნიციპალიტეტი  
ჩემი გლოვა, რა ბედნიერი ვიყავი, რომ იცოდე! დიდებული  
მზე შუქურუვარსკვლავის ხელით თავის უსტარს პირველად მე  
გამომიგზავნიდა, რომ წალკოტისათვის მეცნობებინა მისი მო-  
ახლოვება. ამობრწყინების უამსაც პირველად მე გადმომაშლიდა  
სხივთა ლეჩაქს. როგორ შემომხაროდნენ მაშინ მაყურებელ-  
ნი! გრძნებით მთვლემავნი ტბანი და ზვირთთა მოლივლივე  
მდინარენი, ნეტარებით აღიბეჭდავდნენ ხოლმე თვის მოსარ-  
კულ მკერდზე ჩემს სიდიადეს. ნიავი კისკის-ტიტინით ამოირ-  
ბენდა მდელოდან, ყვავილების სახელით გრძნობით გადამკო-  
ცნიდა. ტოროლა ხომ ცის გუმბათს აეკვრებოდა და ზარივით  
დამწკრიალებდა თავს.

— ეეჭ, რა ბედნიერი ვიყავი და რა მალევე გამიხდა ყო-  
ფა ოხვრადა,—დაამთავრა სიტყვა მთამა და მწარედ ჩაიქვით-  
ქვითა.

— ეჭ, ჩემო კარგო, სწორედ ისა მკლავს მე, საცოდავს,  
რომ დღემდე ვერ გამიცნეს იმათ, ვის გულისთვისაც ბევრი,  
ძალიან ბევრი ღამეები უძილოდ გამიტარებია. შენ მითხარი,  
რომ მე არა მმოსავდნენ გაზაფხულის სამკაულნი. მართა-  
ლია, დაუსრულებელ ჟამთა სრბოლაში მუდამ ტიალად გამო-  
ვიყურები, მაგრამ როგორც-კი წარმოვიდგენ, რომ ჩემ წინ  
გადაფენილია საუცხოვო ფერადებით შეხამებული ბუნება,  
მთლიად მავიწყდება ჩემი სიტიტვლე-სიბერიავე და შემოქმედს მა-  
დლობასა ვწირავ ესდენ მშვენიერ სურათთა შექმნისათვის. ეს  
კია, რომ ხანგრძლივი არ არის ჩემი აღტაცება. განვეხავ  
მხოლოდ ერთი შვილი მარგუნა წილად. ესაა ქუჩი უსუნო  
და უფერული, როგორც უფერულია შექმნდგომის ცა. ჩემს  
ხრიაკ თხემზე მხოლოდ ისა ჰხარობს. საბრალო იას ტრფია-  
ლია. სისხამ დილიდან ხშირ ბინდამდის თვალს არ აშორებს  
ბუჩქნარების ძირში ამოღერილ გულის სატრფოს, ცას  
მუდარებით შესთხოვს, არ მოაკლოს წმინდა ცვარ-ნამი..

რომ უყურებ ქუჩის სასოებიან ლოცვას, სიამოვნებით უფრგებელი გადასახადისა და უქებ წრფელ გრძნობასა, წმინდა ტრფიალსა.

ანაზღათ საშინელის ფრთათ ბარტყუნით ამოიქროლებს ბარიდან არწივი, რომლის კლანჭებში ჰკუთავს სირი და ოვალების ბრიალით დაუწყებს ძიძნასა. ქუჩის სისხლის წინწკლები მოეფრქვევა ფოთლებზე და აქვითინდება საცოდავად.

შეც ამის მნახავს გული ამიჩუყდება და მასთან ერთად მოვსოდება ჩვენს უბედობას.

აქ ჭიუხმა შესწყვიტა საუბარი და ყრუდ ჩაიქვითინა. წერწეტა მთას თავის თავი ისე აღარ ენანებოდა, როგორც ჭიუხი. ინანა, რომ რამდენისამე ხნის წინად ისეთ უსამართლო სიტყვებით მიჰმართა და გადასწყვიტა: ოღონდ ვეღირსო კეკლუც გაზაფხულს და მონავარდე ფრთოსანთა ნისკარტით პირველ ენძელასვე ჭიუხს გაუგზავნი დიადის ღროს სახარებლადა.

ქარს-კი არ ესმოდა მათი საუბარი, გაშმაგებით ჰქროდა, გაყვითლებულ ფოთლებს ხევ-ხუვში დასასამარებლად მია-ქროლებდა.


#### დ. თურდოსპირელი.





## მოწყალე არზივი.

(დებენდა).



იდებულ დღესასწაულის წინა დღე იყო.  
 ზღვის მახლობლად გაშენებულ მეოევზე-  
 ების სოფელში ვიღაც მგზავრმა გაიარა.  
 ეტყობოდა, შორიდან მომავალი იყო:  
 სახეზე საშინელ დაღლილობის ნიშანი  
 და დაკონკილ ტანისამოს-ფეხთხაცმელებზე  
 სქელი მტვერი დასდებოდა. მგზავრს არც ნათესავი ჰყავდა ამ  
 სოფელში და არც ნაცნობი, მაგრამ იფიქრა: — მივალ რომელ-  
 სამე ოჯახიშვილთან, — ეტყობა მდიდარი სოფელია, — და ერთ  
 ღამის ბინას და ლუკმა პურს ვინ დამიჭერს, ხვალ ასეთი  
 „ბეღნიერი დღე“ უთენდებათო!

მიადგა ერთ მოსახლეს ქუდ-მოხდილი კარებზე და მო-  
 კრძალებით პური და ბინა სთხოვა. ოჯახიშვილები დღესა-  
 სწაულების სამზადისში იყვნენ: აქობდნენ, ხარშავდნენ,  
 სწვავდნენ სადღესასწაულო სანოვაგეს და სახლ-კარს ალაგებ-  
 დნენ: რეცხავდნენ, ფხეკდნენ და ასუფთავებდნენ.

— მეზობელთან მიდი და ის გაგიკითხავსო, — გამოსხახეს  
 წყენით ამ სახლიდან: პური და ლვინო ლვოს მოწყალებით  
 ყველასა აქვს და ჩვენ ახლა სამაგისოდ სადა გვცალიანო, —  
 სოჭვეს ოჯახიშვილებმა.

მგზავრმა თავი დაუკრა და გაშორდა. მეორე ოჯახშიაც

იგივე სამზადისი იყო სადღესასწაულოდ და ყველა საქართველოს ნობდა. მგზავრს აქაც ხელი გაუქმინეს უარის ნიშნად და გამოსძახეს:

— ღმერთი მოგცემს, ჩვენ არა გვცალიან! ე მანდ მეზობელთან მიდი და გაგიკითხავსო.

მგზავრმა ამასაც თავი დაუკრა, გაბრუნდა და მიადგა მესამე სახლის კარს, მეოთხეს, მეხუთეს, მაგრამ ყველგან ერთნაირად ფუსფუსებდნენ და მგზავრისათვის არავის არ ეცალა, რომ ლუქმა პური მიეწოდებინა, თუმცა სამზადისი ყველა ოჯახში თავზე საყრელი ჰქონდათ.

გაწბილებული მგზავრი გასცდა სოფელს ცარიელა აბგით, მაგრამ მწუხარებით სავსე გულით და ზღვისაკენ გასწია. აქ დიდ ქვაზედ ჩამოჯდა და თავი მწარე ფიქრებს მისცა.

ზღვა ღელავდა, ღრიალებდა, ბობოქრობდა. მისი ცივი ზვირთები სულ კლდეებს ლოკავდა, გაშმაგებული ეხეოქებოდა, გაშმაგებულივე უკან ბრუნდებოდა.

გასცეროდა მწუხარედ მგზავრი ზღვის ტალღებს, თითქო იმათვან მოელის რაიმე მოწყალებასაო, მაგრამ ამაოდ. ზღვაც ისეთივე უგულო და უმოწყალო იყო უბედურ კაცისათვის და მისი ზვირთებიც ისე გულცივი, როგორც ხალხი.

— ნუ თუ არავინ ყურადღებას არ მომაქცევს და არ გაჰიკითხავს! ნუ თუ ქვეყანაზე ერთი ვინმე არ მოიპოვება კეთილის გულისა, რომ კარი გამიღოს და ლუქმა მომივდოსო? — იფიქრა მგზავრმა და ამ ფიქრით გულ-დამწვარმა და ამღვრეულმა ხალხის ყველება და წყევა-კრულვა დააპირა.

უცემ შორს, ზღვიდან რაღაც ფრინველი იმოფრინდა და მაღლა-მაღლა წავიდა. ეს იყო ზღვის არწივი. დიდი თევზი დაეჭირა და ღონიერ კლანებით მიჰქონდა, რომ მოფარებით გამოეხრა მაღალ და მიუვალ კლდეზე, ხალხისა და მღელვარე ზღვის მოშორებით. მგზავრი წამოდგა ქვიდან, როცა არწივმა თავზე გადაუარა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:


— დიალ, ხალხი ისეთივე ბოროტი, ხარბი და გაუშანებული ციცა მის მიზანით და გულები და გულება, როგორც ეს ზეირთები და გულება, როგორც ეს კლდეები.

ძლივს დაასულა უკანასკნელი სიტყვა, რომ მის წინ დიდი თევზი დაეცა: ამაყსა და სისხლის მსმელ არწივს შეეცოდა მშეერი აღამიანი და თავისი ლუკბა გადმოუგდო. გაიგო მგზავრმა, ვინც იყო მისი შემბრალებელი, გული მოულბა, გაუთბა და გამხიარულდა.

— გმადლობ, გულ-კეთილო ფრინველო, გმადლობ! — შესხახა მიმავალ არწივს და თვალები ცრემლებით აევსო... ეს იყო სიხარულის ცრემლები, ცრემლები მადლობისა და ლმობიერებისა. ცრემლებმა ამორეცხა მის გულში დაგუბებული მწუხარება და ბოროტება და გამოაცვლევინა აზრი, რომ უსამართლოდ სწამებდა აღამიანს უკულობას.

— თუ-კი შემოქმედმა ონავარ ფრინველსაც-კი ჩაუნერგა გულში სიბრალულის გრძნობა, აღამიანს როგორ-ლა მოაკლებდა ამ მადლოს. მხოლოდ მიძინებულია აღამიანის გულში ქვეყნიურ ათას-გვარ ზრუნვისაგან. აღამიანს რომ ეს ზრუნვა და ფიქრი არ აწუხებდეს და მათგან თავისუფალი იყვეს, როგორც არწივი, მაშინ ათასჯერ მეტი სიყვარული და სიბრალული ექნებოდაო, — იფიქრა მგრზავრმა და ამოიხრა.

თეო კანდელაკი





# ო რ Ո მ ե ա ժ Վ ա ր Ո .

(Պյուջըօն)

თ ա թ ս VII.



հոտ կազմուած ծերենու համացնամյ թշրի-  
լունանմա մշեռացրեցլմա մոխու գրամմու լցո-  
նու პատրաս սարդացնո Շեռեցու, հոմ ոյ տուռ  
կոյք լվոնք դայլուատ დա յցեցնատ սեցա-დա-  
սեցա անու ամեցնա დա Շեմտեցցու ցամո,  
հապ წարևսուլ կազմուած ցանմացլունանմ մո-  
մեցարուում.

— մարտլա, ցանցյ დուքո անու ամ-  
եցո? — սոյքա մեթուրյ անեցրմա, հուցեսապ սարդացնո հացուցա.  
დա տացու մեցոնձար մեթվրուումանցետան յատագ յրտու պատրաս մա-  
ցուցա մուշճա. ամ մեթվրուումանու ցարու ցըրդելու ույու.

— առա, առա ցամոցոնա-րա! մոտեարո, ոյ լմերու ցրիւմն,  
հա ամեցու! — սոտեցա დա լինու մուցարշլունանմ դաշնիու  
պյերա տացու. մուսաշնիու.

մա՛թ, մուուր ցնիւցար, հոմ Շենամդու ասց ցան մո-  
ւու յուցունանու ամեցու. լուալ, մարտլապ, հոմ մեթագ սա-  
կազմուցը ամեցու, — ցանացրսոնձա անեցրո նայց. նայց დա ցա-  
նունցրեցնու.

— ეჭ, კმარა ამდენი გაჭიანურება! სთქვი მალე! — მოუფრეს მათ მარად გააწყვეტინა სიტყვა ვეიდელმა, რომელსაც უნდოდა მალე შეეტყო, თუ რა ამბავი მოჰხდა.

— ფრეიდენბერგისა არაფერი გაგიგონია? — ჰკიოთხა სიღინჯით მეპურემ.

— მხატვარ ფრეიდენბერგისა? არა, არაფერი გამიგონია! მერე და რა დაემართა? — იკიოთხა გულკეთილმა ვეიდელმა.

— ის დაემართა, რომ ცხენის ყიდვას აპირებს და ერთს საკუთხი ძვირფასს ცხენს კიდევ შეევაჭრა, — შეჰნიშნა მრავალმნიშვნელოვანებით არნერმა.

— რაო, რაო? ფრეიდენბერგი ცხენს ჰყიდულობსო? — წამოიყვირა ვეიდელმა და ზეზე წამოხტა. — მერე ეგ შესაძლებელია? ის ხომ უიმისოდაც თავადურად სცხოვრობს!

— იმას, ჩემო ძმაო, ამ უკანისენელ სამი-ოთხის წლის განავლობაში სწორედ რაღაც ნატვრის თვალი გაუჩნდა, — განაგრძო არნერმა: — დიდი ხანი არ არის მის აქეთ, რაც ჩემის საკუთარის თვალით ვნახე, ფრეიდენბერგს იღლიაში ამოჩრილი ჰქონდა თავისი ყუთი საღებავებითა და სახატავ კალმებით, ქუჩა-ქუჩა დახეტიალობდა და ძლიერ მაღლიერი იყო, როდესაც დასახატავად ახალ განტადებას შეუკვეთდნენ; ძველსაც-კი დიდის სიამოვნებით ასწორებდა; ახლა-კი, ახლა...

— ყველა ამას ისიც დაუმატე, — ჩაგონების კილოთი სთქვა ვეიდელმა, რომ ფრეიდენბერგს ყველასი ემართა, რადგან მისი ცოლი ბევრსა თხოულობდა და ქმრის მცირე შემოსავალი არა ჰყოფნიდა; ამიტომ, საღაც-კი ხელი მიუწვდებოდა, ყველგან სესხულობდა ფულს.

— ვიცი, ვიცი! — გააწყვეტინა არნერმა: — სწორედ ამის-თვისაა საკვირველი, რომ ასე ცოტა ხანში შესაძლო ყველა თავის საქმის გამოკეთება და ახლა ნამდვილ ბატონივით სცხოვრობს: მუსიკას სწავლობს, ყოველთვის ჩინებული სადილი აქვს, ცოტას ჰხატავს და შემდეგ სასეირნოდ დადის; ხანდის-

ხან გასართობად ციურიხშიაც მიღის ხოლმე და იქვედან კანკალები გატენილ ჯიბით ბრუნდება შინ.

— იცი, რა გითხრა? სთქვა ვეიდელმა და შეგობარს ხელი დაუჭირა: — ჩემის ფიქრით, ბანქოს მოთამაშე უნდა იყოს და, იქნება, ბედი სწყალობს თამაშობაში.

— არა, ეგ ჭორია! — მიუგო არნერმა: — კარგად ვიცი, რომ ბანქოს თამაშობასა არაფერი გაეგება.

— მაშ, აბა, მალულად უნდა ვაჭრობდეს რასმე, ან და დიღის სარგებლით ფულს უნდა ასესხებდეს, როგორც მევაბშე.

— ეგეც არა ჰგავს როგორდაც სინამდვილეს, — მიუგო კიდევ არნერმა: — ფული რომ გაასესხო, ხომ სახლში უნდა მიიღო მსესხებლები; მისას კი ამ ბოლო ხანებში ვერავის პნახავთ; თითქმის ძველი მეგობრებიც-კი სრულიად ჩამოეცალნენ.

— თუ ასეა, თვითონ ღმერთი უნდა უგზავნიდეს სიმდიდრეს, — დაასკვნა ვეიდელმა: — შეიძლება, სწორედ იმისთვის, რომ თავშესაფარი მისცა იმ საბრალო კრეტინს, რომელიც, გახსოვს, სადღაც იპოვნა.

— არა მგონია! — კიდევ იჭირთა სთქვა არნერმა: — არა მგონია, რადგანაც იმ საწყალს არც ისე კარგად აცხოვრებენ. მართალია, ასმევენ, აჭმევენ, მაგრამ სამაგიეროდ სახლიდან ფეხს არ გადაადგმევინებენ, და ეს რამდენიმე წელიწადია, ხორციელ აღამიანს მისი სახე თვალით არ დაუნახავს. ისიც-კი შევნიშნე, რომ საწყალი ერთხელ ბაღში იჯდა და სტიროდა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ფრეიდენბერგთან იმას ტკბილი ცხოვრება არა იქნა. იმასაც ამბობენ, ფრეიდენბერგმა მეზობლებთან ღობიდან ლაპარაკიც-კი აუკრძალათ; ამგვარად ის საცოდავი კრეტინი ისე სცხოვრობს, თითქოს საპურობილები იყოს დაწყვდეული. მე არა მგონია, ასეთი კეთილი საქმეები ძლიერ სასიამოვნო იყოს ღვთისთვის და ამიტომ დააჯილდოვთ ფრეიდენბერგი, სწორედ არა მგონია!

— თქვენ ორივენი ნამდვილი სულელები ხართ, — ჩაერია ლაპარაკში ტომმი, რომელიც დიღი ხანია ყურს უგდებდა

მეგობრებს: — დიალ, სწორედ ნამდვილი სულელები ხართ, მთვარები  
რომ იმტვრევთ იმის გასაგებად, თუ როგორ გაძლიდოდა  
ფრეიდენბერგი; მე-კი დიდი ხანია ძლიერ კარგად ვიცი, თუ  
ქარმა საიდან შემოჰერა.

— ნუ თუ? — უცებადა სთქვა არნერმა.

— მერე ეგ შესაძლებელია? — წამოიძახა თავის მხრით ვეი-  
დელმა, რომელიც მოუთმენლად სცდილობდა ამ საქმის საი-  
დუმლოების გაგებას.

— მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, თქვენ აქედან რას გამო-  
ელით? — განაგრძობდა ამასობაში ტომმი თავისი ჩახლეჩილ  
ბოხის ხმით: — თქვენ ხომ, სულ ერთია, მაინც არ დაიჯერებთ,  
კიდეც რომ გითხრათ: ახლანდელ ახალგაზღობას ყველაფერში  
სურს ჩვენზე, მოხუცებულებზედ, ჭკვიანი იყოს... ეჲ, ღმერთ-  
მა მშვიდობა მისცეთ!..

— არა, არა, მოხუცო! ჩვენ, რასაკირველია, დაგიჯე-  
რებთ, თუ შენს ნალაპარაკევში ერთ ნამცეც სიმართლეს შევ-  
ნიშნავთ, — მიუგო არნერმა: — სთქვი, რაღა, მალე და აგვიღ-  
სენი ეგ ჩვენთვის გამოურკვეველი ამოცანა, რომელიც, სი-  
მართლე გითხრა, კი ღირს იმად, რომ კაცმა მისთვის თავი  
იმტვრიოს.

— ხა, ხა, ხა! გაიცინა აქ ტომმიმ: — თქვენის ამოცანის  
აღსნასაც დიდი თავის მტვრევა არ სჭირდება: უეჭველია,  
ფრეიდენბერგი ბოროტ სულს გასცნობია, რომელიც პირდა-  
პირ უყრის ფულებს, თორემ, აბა, საიდან უნდა გასჩენოდა  
ასეთი სიმდიდრე? ასე რომ არ იყოს, მაშ, რა მიზეზია, რომ  
ასე გაურბის კეთილ ხალხს და თავის სახლში არავის იკა-  
რებს.

— ე-ე, ბებრუხანავ! შენ რაღაც სრულიად უმზავს  
ლაპარაკობ! — მიუგო ამაზე ვეიდელმა: — აბა, ერთი, რა ბორო-  
ტი სული უნდა იყოს აქ? ჩემის ფიქრით, ეს ფრეიდენბერგი  
უთუოდ სრულიად უბრალოდ რასმე ეშმაკობს და თავის თი-  
ნებით ჰხვეტავს ფულს, თორემ არავითარი ბოროტი სული გა-  
მდიდრებაში არ ეხმარება.

— აი, ხომ ვსთქვი! — განაგრძობდა ტომმი სიცილიანობა  
— თქვენ ურწმუნო თომასავით არა ვსურთ რასმე ერწმუ-  
ნოთ, რასაც თქვენის თვალით არ დაინახავთ. მაში, კარგი,  
მოითმინეთ; მოვა დრო და ყველანი დავინახავთ, ვინ მარ-  
თალია ჩვენში და ვინ მტკუანი! — გადასწყვიტა მოხუცმა.

კიდევ დიღხანს იღავთ ამ სამმა კაცმა იმის შესახებ, თუ  
როგორ გამდიდრდა ფრეიდენბერგი, მაგრამ ვერას გზით ვერ  
შეთანხმდნენ. ტომმი თავისას იმეორებდა, ფრეიდენბერგს მა-  
ვნე სულთან აქეს კავშირით; არნერი და ვეიდელი-კი, როგორც  
უფრო ჭკვიანები, ამტკიცებდნენ, ეგ სისულელე და ჭრია;  
უფრო აღვილად შესაძლებელია, მხატვარს ვისგანმე მემკვი-  
დრეობა მიეღოს და, უთუოდ რაიმე პატივსადები მიხეზები  
აქვს, რომ არ აცხადებს. ამგვარმა დასკვნამ ისე გააჯავრა და  
მოთმინებიდან გამოიყვანა მოხუცი ტომმი, რომ მეგობრებმა  
საჭიროდ სცნეს მაშინვე შეეცვალათ ლაპარაკი; შემდეგ-კი სა-  
ჩქაროდ დალიეს ღვინო და შინისკენ წავიდ წამოვიდნენ.

## VIII

მეორე დღეს ფრეიდენბერგი თავის ცოლით საუზმედ იჯ-  
და და თავის საქმეებზე ლაპარაკობდა.

— ოჰ, საყვარელო გუსტავ! — ამბობდა ჯანსალი და ჩა-  
სუქებული მხატვრის ცოლი: — ახლა დავრწმუნდი, რომ ღმერ-  
თი დაუჯილდოვებლად არ სტოვებს არც ერთ კეთილ საქმეს.  
ვინ იცის, ახლა როგორ ვიცხოვრებდით, რომ შენი კეთილი  
და შემბრალე გული არ აღეძრა საბრალო ბავშვის ბედს და  
თავშესაფარი არ მიგეცა მისთვის?

— შენ კარგად იცი, ძეირფასო მარიანა, — მიუგო ფრეი-  
დენბერგმა, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ: — შენ იცი, რომ ჩვენ  
ერთმანერთს არაფერი არ უნდა დაუმალოთ; ამიტომ საჭიროდ  
მიმაჩნია გითხრა შემდეგი: მე რომ იმდენად გამჭრიახი არ

